

11/08/2025



MES 7 25 0000969786

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 29 ივლისს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85226830258>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;

ხათუნა ჩხარტიშვილი - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნათია ბუთხუზი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;

გიორგი ვეკუა - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;

ხათუნა ცერცვაძე - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე/ საბჭოს წევრი;

ეკატერინე გიგაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;

გოჩა გოგიტიძე - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;

გოგიტა მშვენიაძე - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი;

ანა აროშიძე - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი/ საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ქეთევან ციხისელი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

მაია აბდლაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

თამარ გიორგობიანი

ელისო ლოლაშვილი - მერებაშვილი

ეკა ბუთხუზი

ნინო ქიტიაშვილი

ირმა ღარიბაშვილი

ხათუნა ბაკურაძე

მარიამ ნინიკაშვილი

ნანა შათირიშვილი

თამარ ჯანგულაშვილი

თეა ბარამაშვილი

ნატალია კუჭუხიძე

მიხეილ ხუციშვილი

ალექსანდრე კეკენაძე

ხათუნა ფარეიშვილი

მაია გრძელიძე

ვალერი ჯაჯანიძე

ზაზა პაპიძე

დიანა გახარია

თამთა კვინიკაძე

შალვა ზაზაძე

ნინო ძნელაძე

დემიდ ფასიშვილი

მაია გრიგალაშვილი

ნინო მოწყობილი

ნანა შათირიშვილი
ნატალია კუჭუხიძე
ქეთევან ღვანიძე
მაია ხურცილავა

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კოლეჯი "მერმისი"

ნონა ლუდუშაური - დირექტორი
დავით უგულავა - დირექტორის მოადგილე
დავით გულაზიანი - დირექტორის მოადგილე
ნანა ნამგალაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
მაია დანელია - სასწავლო პროცესის მენეჯერი
ლალი ბეშკენაძე - პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი
თამარ ბერძენიშვილი - საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
ეკატერინე მჭედლიშვილი - რეესტრის სპეციალისტი

ა(ა)იპ - კოლეჯი "ჰორიზონტი"

ნანა ჯოლია - დირექტორი
თამარ არობელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
მერაბ კვერდელიძე - სასწავლო პროცესის მენეჯერი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. სსიპ კოლეჯის "მერმისი" ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - კოლეჯის "ჰორიზონტი" ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობა.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) რეგისტრირდა

შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის N833172 - 07.07.25 და N847780 - 09.07.25 წერილები, რომლითაც დაწესებულება წარმოგვიდგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ პაკეტს, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან. აღნიშნული პროგრამის მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამების პარამეტრები. კერძოდ, პროგრამების მოცულობა კრედიტებში განისაზღვრა შემდეგნაირად:

- კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 55 კრედიტი
- კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 70 კრედიტი

დაწესებულებამ ასევე დამატებით მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ 2025 წლის საგაზაფხულო მიღებაზე სწავლა დაიწყება შეცვლამდე არსებული პროგრამით. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის მოდიფიცირების შედეგად განხორციელდება ცვლილებები და ეს ცვლილებები შევა ძალაში 2025 წლის საშემოდგომო მიღების ანკეტა-კითხვარის შევსებამდე, მაშინ საშემოდგომო მიღება გამოცხადდება ახალი სტანდარტის შესაბამისი პროგრამით. გთხოვთ, შუამდგომლობას საბჭოს წინაშე აღნიშნული პროგრამისთვის კრედიტების ცვლილებასთან დაკავშირებით. აქვე გაცნობებთ, რომ ცვლილება უნდა შევიდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N602947 - 30.05.2025 გადაწყვეტილებაში (ცვლილება უნდა განხორციელდეს პროგრამის "ინფორმაციის ტექნოლოგია"- გადაწყვეტილების პარამეტრების ნაწილში).

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა ზემოაღნიშნული ინფორმაცია მიიღეს მხედველობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, „შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 30 მაისის N602947 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განთლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 30 მაისის N602947 გადაწყვეტილებაში, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 1**).

პირველი საკითხი: სსიპ კოლეჯის "მერმისი" ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თამარ გიორგობიანი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 15 მაისის N527626 და 2025 წლის 27 მაისის N578825 ბრძანებების საფუძველზე შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - კოლეჯ „მერმისში“ (მისამართი: ქ. თბილისი, დავით გურამიშვილი ჩიხი ქ. №ა) 2025 წლის 02 – 06 ივნისის პერიოდში ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის საფუძველზე. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ზემოაღნიშნული ბრძანებების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გაეცნო ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას, შეაჯერა განსახილველი საკითხები და შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა დღის წესრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, დირექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, ფინანსურ რესურსებზე, კარიერის დაგეგმვაზე, საზოგადოებასთან ურთიერთობაზე, საქმისწარმოებასა და ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებს, კურსდამთავრებულებსა და პროფესიულ სტუდენტებს. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ევროპული განვითარების ფონდის (ETF) მიერ კოლეჯ "მერმისის" მაგალითზე ინკლუზიური პროფესიული განათლება საუკეთესო, ინოვაციურ და კავკასიის რეგიონში ერთ-ერთ პირველ

წარმატებულ ინიციატივად დასახელდა. აღნიშნულმა ინიციატივამ ასობით სისტემის მიღმა დარჩენილ ადამიანს გაუხსნა გზა ღია შრომის ბაზრისაკენ. შედეგზე ორიენტირებული, თანამშრომლობითი, ეფექტური და ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა - ასე შეფასდა ინკლუზიური პროფესიული განათლება საქართველოში. ევროპული განვითარების ფონდის მიერ ქ. ბრიუსელში კოლეჯის დირექტორს საპატიო პრიზი გადაეცა. გამოიცა პუბლიკაცია საქართველოს განათლების სისტემაში ინკლუზიური პროფესიული განათლების წარმატებული შემთხვევების შესახებ. 2025 წლის 7 მარტს სსიპ კოლეჯი „მერმისი“ თანამშრომლობისა და ცოდნის გაზიარების ხელშეწყობისთვის ETF მიერ შეტანილია სერტიფიცირებული პროფესიული განათლების Excellence პროვაიდერების საჯარო ონლაინ რეესტრში /Open Space“ <https://openspace.etf.europa.eu/vocati.../lepl-college-mermisi>. რეესტრი ხელმისაწვდომია პროფესიული განათლების პროვაიდერებისთვის, რომლებიც ცდილობენ დაუკავშირდნენ განვითარებაზე ორიენტირებულ პარტნიორებს. რეესტრი შექმნილია იმისათვის, რომ გაზარდოს კოლეჯის ცნობადობა და ხელი შეუწყოს მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების ზრდას.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ა. I, III, IV და V სტანდარტებთან მიმართებით შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.
ბ. 2.2.1.1 იქიდან გამომდინარე, რომ „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპიუტერულ სასწავლო სახელოსნოში განთავსებული მატერიალური რესურსის - კომპიუტერული ტექნიკის მონაცემები ვერ აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, კოლეჯის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, დაწესებულება 5 თვიან ვადაში გეგმავს შესაბამისი მატერიალური რესურსის შეძენას 05/08/2025-მდე, შესაბამისად, რეკომენდებულია, დაწესებულებამ აღნიშნული ვადის გათვალისწინებით უზრუნველყოს ტექნიკის შეძენა.

განმავითარებელი რეკომენდაციები

5.1.1.5 დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, კერძოდ: დასაქმებულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და კოლეჯის მიერ დაწესებულ პირობებს. აღსანიშნავია, რომ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სერტიფიკატის მოქმედების ვადაა 2025 წლის 12 ივლისი. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებაში ვიზიტი 2025 წლის 02 – 06 ივნისის პერიოდში შედგა, პროცესის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია დაიგეგმოს ისეთი აქტივობები, რომელიც სპეციალისტის საქმიანობის უწყვეტობას უზრუნველყოფს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, „სავალი ნაწილის შეკეთება“, „ძრავას შეკეთება“ 2.2.1.5 მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე ეტაპზე კოლეჯში არსებული საგანმანათლებლო რესურსი აკმაყოფილებს პროგრამაში შემავალი მოდულების სწავლის შედეგებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რეკომენდებულია, დაწესებულებამ მომავალში უზრუნველყოს სხვადასხვა მწარმოებლის ტექ. მომსახურების და რემონტის სახელმძღვანელოს მოძიება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ 2.4.1.5 მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსი და გარემო სრულად თავსებადია „სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება განთავსების პროცედურების უზრუნველყოფის“ მოდულის სწავლის შედეგებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, რეკომენდებულია, დაწესებულებამ პრაქტიკის ობიექტზე გაიტანოს აღნიშნული მოდულის სწავლის შედეგები, რაც პროფესიულ სტუდენტს ხელს შეუწყობს რეალურ სამუშაო გარემოში გამოიმუშაოს პროფესიასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი უნარები,

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „სასტუმრო მომსახურება“, „სარესტორნო მომსახურება“ 2.2.1.5 მიუხედავად იმისა, რომ „სასტუმრო მომსახურებისა“ და „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით, რეკომენდებულია, დაწესებულებამ საგანმანათლებლო რესურსების QR კოდები სათაურების მითითებებით განათავსოს სასწავლო აუდიტორიებში, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო რესურსზე პროფესიული სტუდენტის სწრაფ და მოქნილ ხელმისაწვდომობას.

ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ - კოლეჯ „მერმისის“ მიერ გამოგზავნილი არგუმენტირებული პოზიციით (2025 წლის 17 ივლისის N882957 წერილი) იკვეთება, რომ კოლეჯი სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, „სავალი ნაწილის შეკეთება“, „ძრავას შეკეთება“, „სასტუმრო მომსახურება“, „სარესტორნო მომსახურება“ (სტანდარტი 2.2.1.5), „სასტუმრო მომსახურება“ (სტანდარტი 2.4.1.5), ასევე 5.1.1.5 სტანდარტთან მიმართებით. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა შრომის უსაფრთხოების სპეციალსტთან 2025 წლის 11 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულება და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი. ამასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ ფარგლებში გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციასთან (სტანდარტი 2.2.1.1) დაკავშირებით, არგუმენტირებულ პოზიციის დანართად წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის 2025 წლის 10 ივლისის მთავრობის განკარგულება N1113 „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ - კოლეჯ „მერმისისათვის“ სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად წინასწარი თანხმობის მიცემის შესახებ“, რომლის საფუძველზეც კოლეჯმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი №NAT250012825, 24 ერთეული მაგიდის კომპიუტერის კომპლექტის შესყიდვის მიზნით. ექსპერტები მიესალმებიან სსიპ - კოლეჯ „მერმისის“ მზაობას, დაწესებულების განვითარების მიზნით ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებასა და გათვალისწინებასთან დაკავშირებით, თუმცა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ N996 ბრძანების 38-ე მუხლის მე - 9 პუნქტის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფი ვერ მიიღებს მხედველობაში დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე თანდართულ მასალას. გასათვალისწინებელია, რომ „ადმინისტრაციული სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საავტორიზაციო განაცხადში დაწესებულების მიერ პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობად 60 პროფესიული სტუდენტია მითითებული, რაც ასევე შეცდომით აისახა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში. დაწესებულებამ არგუმენტირებული წერილით განმარტა, რომ გაიპარა ტექნიკური უზუსტობა. კოლეჯის მიერ პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი ზღვრული რაოდენობის დასაბუთების დოკუმენტითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ მატერიალური რესურსისა და სასწავლო გარემოს დათვალიერებით დასტურდება, რომ პროგრამის ზღვრული რაოდენობა შეადგენს 80 პროფესიულ სტუდენტს ორ ცვლაში.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, ექსპერტების მიერ დათვალიერებულ იქნა და დადასტურდა ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო სივრცეების/ფართობის ფლობა. დაწესებულების ინფრასტრუქტურის, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეების და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, კოლეჯში

შემუშავებულია და დირექტორის 2020 წლის 2 ივლისის N 04-133 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ კოლეჯ მერმისის მატერიალური რესურსების გამოყენების წესი“, აღნიშნული წესისა და კოლეჯის პროფესიული სტუდენტების, ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების განმარტების თანახმად, კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს და თანამშრომლებს უფლება აქვთ გამოიყენონ კოლეჯის თეორიულ აუდიტორიებში, კლას-კაბინეტებსა და სასწავლო უსაფრთხოების სახელოსნოებში არსებული ინვენტარი (აღჭურვილობა) და კომპიუტერული ტექნიკა წესების დაცვით; სამუშაო/სასწავლო დღის საათებში ისარგებლონ ინტერნეტით და მისი მეშვეობით მოიძიონ სასწავლო ინფორმაცია, გადმოწერონ და ჩაიწერონ ინფორმაციის ელექტრონულ მატარებელზე, შეასრულონ პრაქტიკული დავალებები, მიიღონ კოლეჯის ქსელის ადმინისტრატორისგან ან/და ქსელის ადმინისტრატორის ასისტენტისგან შესაბამისი კონსულტაცია ტექნიკისა და ინტერნეტით მომსახურების გამოყენებასთან დაკავშირებით. ვიზიტის დროს, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მათ აქვთ საშუალება საჭიროებისამებრ გამოიყენონ შესაბამისი მატერიალური რესურსი და საერთო სარგებლობის სივრცეები. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯის პერსონალისთვის ჩატარებულია სხვადასხვა ტიპის ტრენინგები, მათ შორის პირველადი ინსტრუქტაჟი (სამსახურში მიღებისას), კოლეჯის სივრცეებში არსებული ტექნიკური საშუალებების (დანადგარები, ხელსაწყოები) გამოყენების ინსტრუქციები, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები, მათი კონკრეტული სამუშაო ადგილი და გამოსაყენებელი ინვენტარის ექსპლუატაციის პირობები. სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, კოლეჯში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რაოდენობის მიხედვით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი მოდულების განმახორციელებელი მასწავლებელი/ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, სასწავლო პროცესის დაწყებამდე/სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში დირექტორის სახელზე წერს მოხსენებით ბარათს მოდულისათვის/მომზადება-გადამზადების პროგრამისათვის საჭირო მასალებისა და ნედლეულის შეძენის შესახებ. ვიზიტის ფარგლებში როგორც ინტერვიუს დროს, ისე წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათებისა და მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, დგინდება, რომ დაწესებულება ხელმძღვანელობს თავისივე დადგენილი წესისა და პროცედურების შესაბამისად სასწავლო პროცესში საჭირო მასალა ნედლეულის შეუფერხებლად მიწოდების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას, პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. კოლეჯის შენობა-ნაგებობის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სასწავლო ფართს, მათ შორის ბიბლიოთეკების სამკითხველო დარბაზს, აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება. კოლეჯის ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა პროგრამისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო რესურსი. შერჩევითი პრინციპით გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ წიგნები დამოწმებულია საბიბლიოთეკო წესით. სულ ბიბლიოთეკაში დაცულია და ინვენტარიზაციის წიგნში აღნუსხულია 10 231 ერთეული წიგნი. პროფესიული სტუდენტი და პერსონალი (მკითხველი) უფლებამოსილია ისარგებლოს კოლეჯის საბიბლიოთეკო რესურსით, საბიბლიოთეკო სერვისით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და საინფორმაციო საშუალებებით, რისთვისაც სამკითხველო დარბაზში განთავსებულია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი პრინტერით. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად გამოიყენება დაწესებულების საკუთრებაში არსებული როგორც ბიბლიოთეკის ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებელზე არსებული წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები დარეგულირებულია შესაბამისი დებულებით. ბიბლიოთეკარის პირადი საქმის შესწავლითა და მასთან ინტერვიუს საფუძველზე დადასტურდა, რომ იგი არის შესაბამისი კვალიფიკაციის

მქონე პირი, საკუთარ სამუშაო პროცესს ახორციელებს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესისა და დებულების შესაბამისად, რომლიც გამოკრულია ბიბლიოთეკის სივრცეში თვალსაჩინო ადგილას.

ექსპერტის განცხადებით, პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, პსდ-ში მოქმედებს დირექტორის №04-152 ბრძანებით (07.07.2020) დამტკიცებული დოკუმენტი „საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის მექანიზმები“, რომელიც არეგულირებს IT ინფრასტრუქტურის, ქსელის მართვას, ანტივირუსულ დაცვასა და ინფორმაციული ტექნოლოგიების რისკების მართვის პროცესს. აღნიშნული დოკუმენტისა და კოლეჯის ქსელის ადმინისტრატორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაზე მუდმივ ზედამხედველობას უზრუნველყოფს ქსელის ადმინისტრატორი, რომელიც მომხმარებელთა მხრიდან შემოსული განცხადებების საფუძველზე ახორციელებს კომპიუტერული ტექნიკის მდგომარეობის შესწავლას და საჭიროების შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას დაზიანებული სისტემების შეკეთების/ახლით ჩანაცვლების შესახებ. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას, პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯის მისიით არ არის განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი და არც ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს, კოლეჯის ვებ გვერდი რეზიუმირებული ვარიანტით ფუნქციონირებს ასევე ინგლისურ ენაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია თავმოყრილია სპეციალურად შექმნილ კატალოგში, რომლის განახლებაც რეგულარულად ხდება, პროგრამებში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად.

ექსპერტის განცხადებით, სსიპ კოლეჯ „მერმისის“ მიერ წარმოდგენილი 2025 წლის ბიუჯეტის ანალიზის მიხედვით დასტურდება, რომ დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია (პროგრამული და ვაუჩერული დაფინანსების გზით) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. აღნიშნულ ბიუჯეტში გათვალისწინებულია გეგმების ამოცანებისა და პროფესიული პროგრამების განხორციელება-განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილი დაფინანსება. ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისგან. ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი მოიცავს ინფორმაციას შრომის ანაზღაურების, საერთო, ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯების შესახებ. დაწესებულებაში სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგება ყოველი წლის ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმა. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში ჩართულნი არიან დაწესებულების საფინანსო მიმართულებით პასუხისმგებელი პირები. წარმოდგენილი დოკუმენტების, დირექტორსა და მთავარ ბუღალტერთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რომელიც თავის მხრივ გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან, დგება შესყიდვების წლიური გეგმა და მომდევნო წლის ბიუჯეტი, რითაც უზრუნველყოფილია სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების განხორციელება. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ კოლეჯში ბიუჯეტის შედგენის პროცესი იწყება მომდევნო კალენდარული წლის დაწყებამდე ორი თვით ადრე, განსაზღვრავენ შესყიდვების ნუსხას. დირექტორი და ფინანსებზე პასუხისმგებელი პირი განიხილავენ წინა წლის საბოლოო ბიუჯეტს, განიხილავენ სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და პერსპექტივებს, რათა ბიუჯეტის პროექტი სწორად ასახავდეს კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. დაწესებულება განიხილავს საოპერაციო ხარჯებს - ფასების ცვლილებას საქონელსა და მომსახურებაზე, კოლეჯის მოხმარების დონის ცვლილებას (კომუნალური, საექსპლუატაციო და სხვა), პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის აქტივობისთვის დაგეგმილი ღონისძიებების ხარჯს, სარეკლამო

ხასიათის ხარჯს და სხვა. აღნიშნულის გათვალისწინებით კი მობილიზებას უწევს ფინანსურ რესურსებს და გეგმავს ბიუჯეტს. დაწესებულება ახდენს საკუთარ ფინანსური მდგრადობის შეფასებას. ბიუჯეტის მონიტორინგის მიზანი არის საბიუჯეტო პერიოდის განმავლობაში რესურსების, ხარჯების და ვალდებულებების მართვის ეფექტიანობის ანალიზი და შეფასება. მონიტორინგი შესაძლებელია ჩატარდეს საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე - შედგენა, განხილვა, დამტკიცება, აღსრულება, კონტროლი. კოლეჯი ანგარიშვალდებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს ყოველწლიურად წარუდგინოს ფინანსური ანგარიშები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „გრაფიკული დიზაინი“

ექსპერტის განცხადებით, „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის გააჩნია გრაფიკული დიზაინის სასწავლო კომპიუტერული სახელოსნო თეორიული სწავლების შესაძლებლობით (AC გარემო - აუდიტორია N305) და ინგლისური ენის კაბინეტი (A გარემო - აუდიტორია N403). ინტეგრირებული მიდგომით განხორციელებისათვის დამატებით გათვალისწინებულია სივრცეები ინტეგრირებული მოდულებისათვის: ქიმიის კაბინეტი (AC გარემო - აუდიტორია N402), ფიზიკა-ბიოლოგიის და გეოგრაფიის კაბინეტი (AC გარემო - აუდიტორია N404), სატრენაჟორო დარბაზი (C გარემო - აუდიტორია N107), სადაც სასწავლო ადგილების რაოდენობა შეადგენს 20-20-ს, შესაბამისად „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ერთ ცვლაში შეადგენს 20 პროფესიულ სტუდენტს, ხოლო ორ ცვლაში ჯამურად 40 სტუდენტს. „გრაფიკული დიზაინის“ პროგრამა იმიტირებულ გარემოში განხორციელდება. აღსანიშნავია, რომ კოლეჯს ავტორიზაციის განაცხადის დანართი 2-ს ფორმაში - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების შესახებ არ ჰქონდა მითითებული ხატვის ოთახში (N411) განთავსებული მატერიალური რესურსი, რომელიც გათვალისწინებულია პროფესიული მოდულისთვის „დიზაინის პრინციპების გამოყენება“. ექსპერტთა ვიზიტის დროს გადამოწმდა აღნიშნული გარემო, რომელიც სრულად შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტში არსებული მატერიალური რესურსის ჩამონათვალთან. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუებისას აღნიშნულ ხატვის ოთახს იზიარებს სხვა პროგრამებიც, თუმცა „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას ხელი არ შეეშლება. ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპიუტერულ სასწავლო სახელოსნოში განთავსებული მატერიალური რესურსის - კომპიუტერული ტექნიკის მონაცემები ვერ აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, კოლეჯმა განაცხადთან ერთად წარმოადგინა დირექტორის 2025 წლის 5 მარტის №04-49 ბრძანებით დამტკიცებული კომპიუტერული ტექნიკის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, დაწესებულება 5 თვიან ვადაში გეგმავს შესაბამისი მატერიალური რესურსის შეძენას 05/08/2025-მდე, პასუხისმგებელ პირად გათვალისწინებულია - დირექტორის მოადგილე ფინანსურ და მატერიალურ დარგში, ხოლო დაფინანსების წყაროა ვაუჩერული დაფინანსებიდან მიღებული ეკონომია. რეკომენდებულია, დაწესებულებამ აღნიშნული ვადის გათვალისწინებით უზრუნველყოს ტექნიკის შეძენა. მასალების შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე „გრაფიკული დიზაინი“ მოხდა კოლეჯის დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად და დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ყოველივეს გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვრა 40 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში. კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი და ინტეგრირებული, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 31 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 8 პირი პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, 19 - ინტეგრირებული მოდულების, ხოლო 4 მათგანი ზოგად მოდულს უძღვება. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში „გრაფიკული დიზაინი“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისათვის. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს სამკითხველო სივრცეს, ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერს, პრინტერს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მასალების ბეჭდვისა და სკანირების შესაძლებლობას. საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა დადასტურდა ბიბლიოთეკარსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „Front-end დეველოპმენტი“

ექსპერტის განცხადებით, „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, „Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება კოლეჯში არსებული რესურსი A,B, C გარემო, პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობით. აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, „Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გათვალისწინებული აქვს ერთი AC გარემო (მეცნიერება და ტექნოლოგიების აუდიტორია N404), ერთი C გარემო (სპორტის მოდულისთვის სატრენაჟორო დარბაზი N107), ერთი AB გარემო (ოთახი N304) და ერთი A გარემო (ოთახი N403). აღნიშნულ აუდიტორიებსა და სასწავლო სივრცეებში პროფესიული სტუდენტებისათვის განკუთვნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა, პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა განაწილებულია იმგვარად, რომ ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 20 პროფესიული სტუდენტით ერთ ცვლაში. წარმოდგენილი მასალების შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე „Front-end დეველოპმენტი“ მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ყოველივეს გათვალისწინებით სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა „Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვრა 40 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში, საიდანაც 40 პროფესიული სტუდენტი განკუთვნილია ინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლებისათვის. 2.2.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია. 2.2.1.2 პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“, განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი და ინტეგრირებული, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 31 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 5 პირი პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, 19 -

ინტეგრირებული მოდულების, ხოლო 7 მათგანი ზოგად მოდულს უძღვება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. წარმოდგენილი მასალებითა და გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებას რიგ მოდულებზე ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი პერსონალი. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს. პერსონალთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი და ინტეგრირებული, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 31 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 5 პირი პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, 19 - ინტეგრირებული მოდულების, ხოლო 7 მათგანი ზოგად მოდულს უძღვება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ადმინისტრაციული სერვისები“

ექსპერტის განცხადებით, „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, „ადმინისტრაციული სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება კოლეჯში არსებული რესურსი A,B, C გარემო პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობით. აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, დაწესებულებას გამოყოფილი აქვს პროგრამის სათანადოდ აღჭურვილი ორი AB გარემო (ოთახი N215, N303. ერთი A, გარემო (ოთახი N403, ერთი AC გარემო - მეცნიერება და ტექნოლოგიების ლაბორატორია და ერთი C გარემო - სატრენაჟორო დარბაზი სპორტის მოდულისთვის (ოთახი N404, N107). აღნიშნულ აუდიტორიებსა და სასწავლო სივრცეებში პროფესიული სტუდენტებისათვის განკუთვნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა, პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა განაწილებულია იმგვარად, რომ ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 40 პროფესიული სტუდენტით ერთ ცვლაში. ამასთან, დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს თბილისის ოთხ საჯარო სკოლასთან (N155, N142, N140, N208) საწარმოო პრაქტიკა - ადმინისტრაციული სერვისების მოდულის განსახორციელებლად. წარმოდგენილი მასალების შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე „ადმინისტრაციული სერვისები“ მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ასევე ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომელთაც დაადასტურეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუდენტების რაოდენობის გამტარუნარიანობა და შეუფერხებელი სწავლება დაწესებულებაში. ყოველივეს გათვალისწინებით სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა „ადმინისტრაციული სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვრა 80 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში, საიდანაც 40 პროფესიული სტუდენტი განკუთვნილია ინტეგრირებული სასწავლო

გეგმით სწავლებისათვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“, განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი და ინტეგრირებული, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 33 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 4 პირი პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, 14 - ინტეგრირებული მოდულების, ხოლო 15 მათგანი ზოგად მოდულს უძღვება. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“ ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება თბილისის ოთხ საჯარო სკოლასთან (N140, N142, N155, N208, რომლითაც დარეგულირებულია ხელშეკრულების საგანი, მომსახურების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები და ვალდებულებები, მოდულების დასახელება, საათობრივი დატვირთვა, პროფესიული სტუდენტების გამტარობა, თანამშრომლობის ვადა და სხვა. ექსპერტები გაესაუბრნენ პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებმაც დაადასტურეს კოლეჯთან თანამშრომლობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ელექტრობა“

ექსპერტის განცხადებით, „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, „ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება კოლეჯში არსებული რესურსი (A,B, C გარემო) პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობით. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ერთი AC გარემო (ელექტრიკოსის სახელოსნო - ოთახი N409 და ერთი AB გარემო (ოთახი N411). ელექტრიკოსის სახელოსნო (AC გარემო) აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთით, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით (ცეცხლმაქრით და სხვა), ამკრძალავი და გამაფრთხილებელი პლაკატებით, არის დამიწების კონტური. მისი ვარგისიანობა დამოწმებულია შესაბამისი დოკუმენტით. გარდა ამისა, ამავე გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის გამოყენებულია დიფერენციალური გამთიშველები და სასიგნალო ნათურები. ელექტრომომარაგება ხდება 220 v. 380ვ (3-ფაზა) ელექტრული ქსელით. თითოეული სტუდენტისთვის გამოყოფილია შესაბამისი აღჭურვილობა პრაქტიკული კომპონენტის სრულფასოვნად წარმართვისათვის და სხვა. ჩამოთვლილ სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი სამუშაო ადგილების რაოდენობა შეადგენს 20-ს. წარმოდგენილი მასალების შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე „ელექტრობა“ მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ყოველივეს გათვალისწინებით სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა „ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვრა 40 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრობა“, განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 3 პირი პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, ხოლო 12 ზოგად მოდულს უძღვება. პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამა „ელექტრობა“ იმიტირებულ სამუშაო გარემოში განხორციელდება, თუმცა კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა კომპანიებთან პროგრამის განვითარების კუთხით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „თმის მომსახურება“

ექსპერტის განცხადებით, „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება კოლეჯში არსებული რესურსი (A,B,C გარემო) პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობით. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით გამოყოფილი აქვს ორი C გარემო (სტილისტის სახელოსნო - ოთახი N110, ხატვის სახელოსნო - ოთახი N413), ერთი A, გარემო (ოთახი N410, ერთი B გარემო (ოთახი N307). ჩამოთვლილ სასწავლო გარემოებში პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი სამუშაო ადგილების რაოდენობა 20 პროფესიულ სტუდენტზე. გარდა ამისა, დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს თექვსმეტ პარტნიორ ორგანიზაციასთან (ი/მ ნონა წურჭუმია (სალონი „ელონა“), ი/მ ნატალია შალამბერიძე (სალონი „აურუმი“), ი/მ სოფიო შუბითიძე, შპს „პნ“, ი/მ მაკა ენუქიძე, ი/მ მაია გაბუნია(სალონი „გილუმანი“), შპს მირიან ტუზურიძე, შპს „Nail art“, ი/მ ლეო მაჭარაშვილი (სალონი „მარი“), ი/მ სალომე ყალიჩავა (სალონი „ფემენი“), შპს „ელ სტუდიო“, ი/მ მარინა ხოხობაშვილი, ი/მ მალვინა გორგოძე (სალონი „მალო“), შპს N&G“, ი/მ თენგიზ სვანიძე (სალონი „ბაფი“), შპს „ელისა“). წარმოდგენილი მასალების შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე “თმის მომსახურება” მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად და დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ასევე ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომელთაც დაადასტურეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუდენტების რაოდენობის გამტარუნარიანობა და შეუფერხებელი სწავლება დაწესებულებაში. ყოველივეს გათვალისწინებით სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვრა 40 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში. განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 13 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, ხოლო 11 ზოგად მოდულს უძღვება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „იატაკისა და ფილის სამუშაოები“

ექსპერტის განცხადებით, „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება კოლეჯში არსებული რესურსი (A,B,C) გარემო პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობით. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ერთი AC გარემო (იატაკისა და ფილის სამუშაოების სახელოსნო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით,

დანადგარებით, ხელსაწყო-იარაღებით), ერთი AB გარემო (ოთახი N411). ჩამოთვლილ სასწავლო გარემოებში პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი სამუშაო ადგილების რაოდენობა შეადგენს 16 და 20-ს. ამასთან, პროგრამისთვის ასევე გამოიყენება გასახდელი, გარდა ამისა, დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ერთ პარტნიორ ორგანიზაციასთან (შპს „ნეოტექი“). წარმოდგენილი მასალების შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე “იატაკისა და ფილის სამუშაოები” მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ასევე ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ერთ-ერთი პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომელთაც დაადასტურეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუდენტების რაოდენობის გამტარუნარიანობა და შეუფერხებელი სწავლება დაწესებულებაში. ყოველივეს გათვალისწინებით სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვრა 32 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „იატაკისა და ფილის სამუშაოები“, განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 22 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 4 პირი პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, ხოლო 18 მათგანი ზოგად მოდულს უძღვება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი“

ექსპერტის განცხადებით, „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება კოლეჯში არსებული რესურსი (A,B, C გარემო) პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობით. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ერთი A გარემო (ოთახი N403, ერთი AB გარემო (ოთახი N311). ჩამოთვლილ სასწავლო გარემოებში პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი სამუშაო ადგილების რაოდენობა შეადგენს 20-ს. წარმოდგენილი მასალების შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე “ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი” მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ყოველივეს გათვალისწინებით სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვრა 40 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი“, განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების

მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 3 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, ხოლო 15 ზოგად მოდულს უძღვება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისათვის. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს სამკითხველო სივრცეს, ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერს, პრინტერს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მასალების ბეჭდვისა და სკანირების შესაძლებლობას. საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი“ განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, თუმცა კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორ კომპანიებთან, რომლებიც გამოთქვამენ მზადყოფნას პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშესაწყობად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კონდიტერია“

ექსპერტის განცხადებით, „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, „კონდიტერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება კოლეჯში არსებული რესურსი (A,B, C გარემო) პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობით. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ორი C გარემო (ოთახი N202, N413. ერთი A, გარემო (ოთახი N204, ერთი AB გარემო (ოთახი N411). ჩამოთვლილ სასწავლო გარემოებში პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი სამუშაო ადგილების რაოდენობა შეადგენს 16 და 20-ს. ამასთან, პროგრამისთვის ასევე გამოიყენება გასახდელი, დამხმარე ფართი მარაგების დასაწყობებისათვის და 40მ2 საპრეზენტაციო (სასადილო) ოთახი. გარდა ამისა, დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ორ პარტნიორ ორგანიზაციასთან (შპს „ციტრუსი“, შპს „ფიქრის გორა“). წარმოდგენილი მასალების შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე „კონდიტერია“ მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ასევე ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ერთ-ერთი პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომელთაც დაადასტურეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუდენტების რაოდენობის გამტარუნარიანობა და შეუფერხებელი სწავლება დაწესებულებაში. ყოველივეს გათვალისწინებით სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა „კონდიტერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვრა 32 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კონდიტერია“, განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 27 პროფესიული განათლების მასწავლებელი,

რომელთაგან 20 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, ხოლო 7 ზოგად მოდულს უძღვება. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში „კონდიტერია“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისათვის. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს სამკითხველო სივრცეს, ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერს, პრინტერს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მასალების ბეჭდვისა და სკანირების შესაძლებლობას. საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით. კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის „კონდიტერია“ მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კონდიტერია“ ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ორ კომპანიასთან - შპს „ციტრუსი“, შპს „ფიქრის გორა“. ხელშეკრულებით დარეგულირებულია ხელშეკრულების საგანი, მომსახურების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები და ვალდებულებები, მოდულების დასახელება, საათობრივი დატვირთვა, რომელიც განხორციელდება ბაზაზე, თანამშრომლობის ვადა, ორგანიზების საკითხები, კომპანიის გამტარუნარიანობა, მატერიალურ - ტექნიკურ ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება და სხვა. ექსპერტები გაესაუბრნენ პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომელმაც დაადასტურეს კოლეჯთან მრავალწლიანი ნაყოფიერი თანამშრომლობა. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ასევე პროფესიულ სტუდენტებს, რომელთაც გამოხატეს კმაყოფილება პრაქტიკის ბაზებზე პრაქტიკული სწავლების კუთხით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კულინარიის ხელოვნება“

ექსპერტის განცხადებით, „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება კოლეჯში არსებული რესურსი (A,B, C გარემო) პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობით. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ორი C გარემო - სამზარეულოს 2 ოთახი + მარაგების ოთახი, გასახდელი, ერთი A გარემო (ოთახი N302), ერთი AB გარემო (ოთახი N307). ჩამოთვლილ სასწავლო გარემოებში პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი სამუშაო ადგილების რაოდენობა შეადგენს 20-ს. თითოეულ სასწავლო გარემოში პროგრამის საკონტაქტო საათების გთვალისწინებით დაანგარიშებულია სააუდიტორიო დატვირთვა ერთ ცვლაში არა უმეტეს 60 საათისა, რაც იძლევა ერთ ნაკადში (ერთი მიღების ფარგლებში) 60 პროფესიული სტუდენტის მიღებას 3 ჯგუფად. გარდა ამისა, დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შვიდ პარტნიორ ორგანიზაციასთან (შპს „ციტრუსი“, შპს „ფიქრის გორა“ (სასტუმრო „სეფია“, შპს „სამი ჯგუფი“, შპს რესტორანი „თავადური“, შპს „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯია“, შპს „დაბი ჯგუფი ჯორჯია“, შპს „ჯი ემ თი მთაწმინდა“). წარმოდგენილი მასალების შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე „კულინარიის ხელოვნება“ მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ასევე ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ერთ-ერთი პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომელთაც დაადასტურეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუდენტების რაოდენობის გამტარუნარიანობა და შეუფერხებელი სწავლება დაწესებულებაში. ყოველივეს გათვალისწინებით სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა „კულინარიის ხელოვნების“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვრა 129 პროფესიული სტუდენტით ორ ნაკადად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“, განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 28 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 20 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, ხოლო 8 ზოგად მოდულს უძღვება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში „კულინარიის ხელოვნება“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისათვის. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს სამკითხველო სივრცეს, ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერს, პრინტერს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მასალების ბეჭდვისა და სკანირების შესაძლებლობას. საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შვიდ პარტნიორ ორგანიზაციასთან (შპს „ციტრუსი“, შპს „ფიქრის გორა“ (სასტუმრო „სეფია“, შპს „სამი ჯგუფი“, შპს რესტორანი „თავადური“, შპს „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯია“, შპს „დაბი ჯგუფი ჯორჯია“, შპს „ჯი ემ თი მთაწმინდა“). ხელშეკრულებით დარეგულირებულია ხელშეკრულების საგანი, მომსახურების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები და ვალდებულებები, მოდულების დასახელება, საათობრივი დატვირთვა, რომელიც განხორციელდება ბაზაზე, თანამშრომლობის ვადა, ორგანიზების საკითხები, კომპანიის გამტარუნარიანობა, მატერიალურ - ტექნიკურ ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება და სხვა. ექსპერტები გაესაუბრნენ პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომელმაც დაადასტურეს კოლეჯთან მრავალწლიანი ნაყოფიერი თანამშრომლობა. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ასევე პროფესიულ სტუდენტებს, რომელთაც გამოხატეს კმაყოფილება პრაქტიკის ბაზებზე პრაქტიკული სწავლების კუთხით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“

ექსპერტის განცხადებით, „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, „მოდის ტექნოლოგია და დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება კოლეჯში არსებული რესურსი (A,B, C გარემო) პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობით. აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, „მოდის ტექნოლოგია და დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გათვალისწინებული აქვს ხუთი AC გარემო (სამკერვალო სახელოსნო 1, სამკერვალო სახელოსნო 2, სამკერვალო სახელოსნო 3, კონსტრუირების ოთახი N321, მეცნიერება და ტექნოლოგიების აუდიტორია N404), ორი C გარემო (ხატვის სახელოსნო N413 და სპორტის მოდულისთვის სატრენაჟორო დარბაზი N107), ამასთან, ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სამ პარტნიორ ორგანიზაციასთან (შპს „პრემიერა ტმ“, შპს „ჯეო-ემტექს“, შპს „ავთანდილ ცქვიტინიძე“). სამკერვალო სახელოსნოები აღჭურვილია თანამედროვე სამრეწველო საკერავი მანქანებით, ოვერლოკისა და ღილაკილოს მანქანებით, საუთაო მაგიდით, სამუშაო მაგიდებით და სხვა). აღნიშნულ აუდიტორიებსა და სასწავლო სივრცეებში პროფესიული

სტუდენტებისათვის განკუთვნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა, პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა განაწილებულია იმგვარად, რომ ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 42 პროფესიული სტუდენტით ერთ ცვლაში. წარმოდგენილი მასალების შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ასევე ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომელთაც დაადასტურეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუდენტების რაოდენობის გამტარუნარიანობა და შეუფერხებელი სწავლება დაწესებულებაში. ყოველივეს გათვალისწინებით სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვრა 84 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში, საიდანაც 40 პროფესიული სტუდენტი განკუთვნილია ინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლებისათვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“, განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი და ინტეგრირებული, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 34 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 7 პირი პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, 19 - ინტეგრირებული მოდულების, ხოლო 8 მათგანი ზოგად მოდულს უძღვება. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისათვის. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს სამკითხველო სივრცეს, ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერს, პრინტერს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მასალების ბეჭდვისა და სკანირების შესაძლებლობას. საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა დაადასტურდა ბიბლიოთეკარსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სამ პარტნიორ ორგანიზაციასთან (შპს „პრემიერა ტმ“, შპს „ჯეო-ემტექს“, შპს „ავთანდილ ცქვიტინიძე“), რომლითაც დარეგულირებულია ხელშეკრულების საგანი, მომსახურების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები და ვალდებულებები, მოდულების დასახელება, საათობრივი დატვირთვა, პროფესიული სტუდენტების გამტარობა, თანამშრომლობის ვადა და სხვა. ექსპერტები გაესაუბრნენ პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებმაც დაადასტურეს კოლეჯთან თანამშრომლობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მომინანქრება“

ექსპერტის განცხადებით, „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, „მომინანქრების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება კოლეჯში არსებული რესურსი (A,B, C გარემო) პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობით. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ერთი C გარემო (ოთახი N413). ერთი AC, გარემო (ოთახი

N405), ერთი AB გარემო (ოთახი N411) და ერთი B გარემო (ოთახი N308). ჩამოთვლილ სასწავლო გარემოებში პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი სამუშაო ადგილების რაოდენობა შეადგენს 20-ს. ამასთან, პროგრამისთვის ასევე გამოიყენება გასახდელი, დამხმარე ფართი მარაგების დასაწყობებისათვის და 40მ2 საპრეზენტაციო (სასადილო) ოთახი. გარდა ამისა, დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სამ პარტნიორ ორგანიზაციასთან (ი/მ ნანა მიქაძე, შპს „ჯ.არტს სტუდიო“, ი/მ ელიზა ბუდალაშვილი). მემინანქრის სახელოსნოში (AC გარემოში) განთავსებულია ორი მინანქრის ღუმელი, კარადა დახურული კარებით, სადაც თითოეულ სტუდენტს შეუძლია შეინახოს ნამუშევარი დღის ბოლოს. ღია კარადა, სადაც მოთავსებულია სეიფი ძვირფასი მეტალის ვერცხლის ტიხრების და სამინანქრე ფორმების შესანახად, საიუველირო სათვალე გამადიდებლით, შუშის დახურული კარადა, სადაც მოთავსებულია სტუდენტების ნამუშევრები თვალსაჩინოებისთვის, ოთახში არის გამწოვი, გასაპრიალებელი დანადგარი გამწოვით, ონკანი, ნამუშევრების გასარეცხი მოწყობილობა „ულტრაბგერითი დანადგარი“. თითოეული სტუდენტისთვის გამოყოფილია შესაბამისი აღჭურვილობა პრაქტიკული კომპონენტის სრულფასოვნად წარმართვისთვის და სხვა. წარმოდგენილი მასალების შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე „მომინანქრება“ მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ასევე ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ერთ-ერთი პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომელთაც დაადასტურეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუდენტების რაოდენობის გამტარუნარიანობა და შეუფერხებელი სწავლება დაწესებულებაში. ყოველივეს გათვალისწინებით სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა „მომინანქრების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვრა 40 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მომინანქრება“, განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 2 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, ხოლო 14 ზოგად მოდულს უძღვება. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში „მომინანქრება“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მომინანქრება“ ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სამ პარტნიორ ორგანიზაციასთან (ი/მ ნანა მიქაძე, შპს „ჯ.არტს სტუდიო“, ი/მ ელიზა ბუდალაშვილი). „ფიქრის გორა“. ხელშეკრულებით დარეგულირებულია ხელშეკრულების საგანი, მომსახურების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები და ვალდებულებები, მოდულების დასახელება, საათობრივი დატვირთვა, რომელიც განხორციელდება ბაზაზე, თანამშრომლობის ვადა, ორგანიზების საკითხები, კომპანიის გამტარუნარიანობა, მატერიალურ - ტექნიკურ ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება და სხვა. ექსპერტები გაესაუბრნენ პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომელმაც დაადასტურეს კოლეჯთან მრავალწლიანი ნაყოფიერი თანამშრომლობა. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ასევე პროფესიულ სტუდენტებს, რომელთაც გამოხატეს კმაყოფილება პრაქტიკის ბაზებზე პრაქტიკული სწავლების კუთხით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ტყავის ნაკეთობათა წარმოება“

ექსპერტის განცხადებით, „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, „ტყავის ნაკეთობათა წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება კოლეჯში არსებული რესურსი (A,B,C გარემო) პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობით. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ერთი A, გარემო (ოთახი N403), ორი AC გარემო - მეცნიერება და ტექნოლოგიების ლაბორატორია (ოთახი N404), ფეხსაცმლის სახელოსნო (ოთახი N106) და ორი C გარემო - სატრენაჟორო დარბაზი სპორტის მოდულისთვის (ოთახი N404) და ხატვის სახელოსნო (ოთახი N413). აღნიშნულ აუდიტორიებსა და სასწავლო სივრცეებში პროფესიული სტუდენტებისათვის განკუთვნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა, პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა განაწილებულია იმგვარად, რომ ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 15 პროფესიული სტუდენტით ერთ ცვლაში. გარდა ამისა, დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ორ პარტნიორ ორგანიზაციასთან (შპს „კოსმო“, შპს „ვოგგ“). ტყავის ნაკეთობათა სახელოსნოში განთავსებულია სხვადასხვა ტექნოლოგიური დანიშნულების სამკერვალო მანქანები, როგორც ტყავის მასალებისათვის, ასევე უნივერსალური დანიშნულებით, ლანჩის კიდეების გამხეხი წნეხი, ძირის მიმწებებელი ჰიდრავლიკური წნეხები, ძირითადი და დამხმარე ოპერაციებისათვის განკუთვნილი იარაღები და სამარჯვები, პლანტოგრაფი, ფეხსაცმლის სისრულეში მოსამატებელი მოწყობილობა და სხვა, რაც სრულად შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ აუცილებელ ნუსხას. ასევე, სახელოსნოში არსებობს ტყავის ნაკეთობათა დამზადებისათვის საჭირო ძირითადი და დამხმარე მასალების მრავალფეროვანი ასორტიმენტი, რაც სტუდენტებს ფანტაზიის თავისუფლების საშუალებას აძლევს. ამის დასტურია მათ მიერ შესრულებული ნაკეთობების მრავალფეროვნება. წარმოდგენილი მასალების შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე „ტყავის ნაკეთობათა წარმოება“ მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ასევე ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ერთ-ერთი პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომელთაც დაადასტურეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუდენტების რაოდენობის გამტარუნარიანობა და შეუფერხებელი სწავლება დაწესებულებაში. ყოველივეს გათვალისწინებით სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა „ტყავის ნაკეთობათა წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვრა 30 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ტყავის ნაკეთობათა წარმოება“, განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 35 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 5 პირი პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, ხოლო 30 მათგანი ზოგად და ინტეგრირებულ მოდულს უძღვება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“

ექსპერტის განცხადებით, „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება კოლეჯში

არსებული რესურსი (A,B,C გარემო პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობით. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ორი AC გარემო - ავტოსახელოსნო და ელექტრიკოსის სახელოსნო და ერთი AB გარემო (ოთახი N307). ჩამოთვლილ სასწავლო გარემოებში პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი სამუშაო ადგილების რაოდენობა შეადგენს 20-ს. ავტოსახელოსნოში, რომლის საერთო ფართი 173მ² - ია, ხოლო საათობრივი დატვირთვის რესურსი ორ ცვლაში 60 საათს შეადგენს, წარმოდგენილია მსუბუქი ავტომობილი სასწავლო დანიშნულებით, კომპიუტერული სადიაგნოსტიკო მოწყობილობები, იარაღებისა და სამარჯვების კომპლექტები, ავტომობილის ორპორტიანი ამწეები, მულტი ტესტერები, ოსცილოსკოპები, სარჩილავი მოწყობილობები და სხვა დამხმარე მოწყობილობა და ინვენტარი. არსებული მასალების შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ყოველივეს გათვალისწინებით სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვრა 40 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 21 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 5 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, ხოლო 16 ზოგად მოდულს უძღვება. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. აღსანიშნავია, რომ გარდა მოდულით განსაზღვრული სასწავლო რესურსისა, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სწავლების პროცესში აუცილებელია გამოყენებულ იქნას კონკრეტული ავტომობილის/ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სახელმძღვანელო, რომელიც გამოცემულია ქარხანა-დამამზადებლის, ან სხვა გამომცემლის მიერ, შესაძლებელია აღნიშნული ინფორმაცია პროგრამული უზრუნველყოფის სახითაც იყოს წარმოდგენილი. კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე ეტაპზე კოლეჯში არსებული საგანმანათლებლო რესურსი აკმაყოფილებს პროგრამაში შემავალი მოდულების სწავლის შედეგებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რეკომენდებულია, დაწესებულებამ მომავალში უზრუნველყოს სხვადასხვა მწარმოებლის ტექ. მომსახურების და რემონტის სახელმძღვანელოს მოძიება. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს სამკითხველო სივრცეს, ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერს, პრინტერს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მასალების ბეჭდვისა და სკანირების შესაძლებლობას. საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სავალი ნაწილის შეკეთება“

ექსპერტის განცხადებით, „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, „სავალი ნაწილის შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება კოლეჯში არსებული რესურსი (A,B,C გარემო) პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობით. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ორი AC გარემო - ავტოსახელოსნო და ელექტრიკოსის სახელოსნო და ერთი AB გარემო (ოთახი N307). ჩამოთვლილ სასწავლო გარემოებში პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი სამუშაო ადგილების რაოდენობა შეადგენს 20-ს. ავტოსახელოსნოში, რომლის საერთო ფართი 173მ² - ია, ხოლო საათობრივი დატვირთვის რესურსი ორ ცვლაში 60 საათს შეადგენს, წარმოდგენილია მსუბუქი ავტომობილი სასწავლო დანიშნულებით, კომპიუტერული სადიაგნოსტიკო მოწყობილობები, იარაღებისა და სამარჯვების კომპლექტები, ავტომობილის ორპორტიანი ამწეები, ავტომობილის თვლების შეყრის კორექტირების აპარატი და სხვა დამხმარე მოწყობილობა და ინვენტარი. არსებული მასალების შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე „სავალი ნაწილის შეკეთება“ მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ყოველივეს გათვალისწინებით სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა „სავალი ნაწილის შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვრა 20 პროფესიული სტუდენტით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სავალი ნაწილის შეკეთება“, განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 22 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 5 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, ხოლო 17 ზოგად მოდულს უძღვება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სავალი ნაწილის შეკეთება“ იმიტირებულ სამუშაო გარემოში წარიმართება, თუმცა კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი რამდენიმე ორგანიზაციასთან, რომლებიც გამოთქვამენ მზადყოფნას, ხელი შეუწყონ კურსდამთავრებულთა დასაქმებას და მონაწილეობა მიიღონ პროგრამის განვითარებაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ძრავას შეკეთება“

ექსპერტის განცხადებით, „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, „ძრავას შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება კოლეჯში არსებული რესურსი (A,B, C გარემო) პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობით. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ორი AC გარემო - ავტოსახელოსნო და ელექტრიკოსის სახელოსნო და ერთი AB გარემო (ოთახი N307). ჩამოთვლილ სასწავლო გარემოებში პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი სამუშაო ადგილების რაოდენობა შეადგენს 20-ს. ავტოსახელოსნოში, რომლის საერთო ფართი 173მ² - ია, ხოლო საათობრივი დატვირთვის რესურსი ორ ცვლაში 60 საათს შეადგენს, წარმოდგენილია მსუბუქი ავტომობილი სასწავლო დანიშნულებით, კომპიუტერული სადიაგნოსტიკო მოწყობილობები, იარაღებისა და სამარჯვების კომპლექტები, ავტომობილის ორპორტიანი ამწეები და სხვა დამხმარე მოწყობილობა და ინვენტარი. არსებული მასალების შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე „ძრავას შეკეთება“ მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად,

დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ყოველივეს გათვალისწინებით სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა „ძრავას შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვრა 40 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ძრავას შეკეთება“, განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 22 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 5 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, ხოლო 17 ზოგად მოდულს უძღვება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში „ძრავას შეკეთება“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. აღსანიშნავია, რომ გარდა მოდულით განსაზღვრული სასწავლო რესურსისა, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სწავლების პროცესში აუცილებელია გამოყენებულ იქნას კონკრეტული ავტომობილის/ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სახელმძღვანელო, რომელიც გამოცემულია ქარხანა-დამამზადებლის, ან სხვა გამომცემლის მიერ, შესაძლებელია აღნიშნული ინფორმაცია პროგრამული უზრუნველყოფის სახითაც იყოს წარმოდგენილი. კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე ეტაპზე კოლეჯში არსებული საგანმანათლებლო რესურსი აკმაყოფილებს პროგრამაში შემავალი მოდულების სწავლის შედეგებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რეკომენდებულია, დაწესებულებამ მომავალში უზრუნველყოს სხვადასხვა მწარმოებლის ტექ. მომსახურების და რემონტის სახელმძღვანელოს მოძიება. კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისათვის. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს სამკითხველო სივრცეს, ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერს, პრინტერს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მასალების ბეჭდვისა და სკანირების შესაძლებლობას. საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სარესტორნო მომსახურება“

ექსპერტის განცხადებით, „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, „სარესტორნო მომსახურებას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება კოლეჯში არსებული რესურსი A,B, C გარემო პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობით. აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, „სარესტორნო მომსახურებას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გათვალისწინებული აქვს ორი A გარემო (ოთახები N204 და N403), ორი AC გარემო (რესტორნის სერვის მენეჯერის სიმაულაციური/საპრეზენტაციო ოთახი N214, მეცნიერება და ტექნოლოგიების აუდიტორია N404), ერთი C გარემო (სპორტის მოდულისთვის სატრენაჟორო დარბაზი N107), ამასთან, ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სამ პარტნიორ ორგანიზაციასთან (შპს „სასტუმრო ბლესსინგ“, შპს „ჯი ემ თი მთაწმინდა“, სს „Hualing International Special Economic

Zone-სასტუმრო ჰოტელს ენდ პრეფერენს ჰუალინგ თბილისი“). აღნიშნულ აუდიტორიებსა და სასწავლო სივრცეებში პროფესიული სტუდენტებისათვის განკუთვნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა, პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა განაწილებულია იმგვარად, რომ ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 20 პროფესიული სტუდენტით ერთ ცვლაში. სასწავლო ოთახები სრულყოფილადაა აღჭურვილი ყველა იმ რესურსით, რაც პროგრამითაა გათვალისწინებული. წარმოდგენილი მასალების შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე „სარესტორნო მომსახურება“ მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ასევე ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომელთაც დაადასტურეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუდენტების რაოდენობის გამტარუნარიანობა და შეუფერხებელი სწავლება დაწესებულებაში. ყოველივეს გათვალისწინებით სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა „სარესტორნო მომსახურებას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვრა 40 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება“, განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი და ინტეგრირებული, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 42 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 14 პირი პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, 19 - ინტეგრირებული მოდულების, ხოლო 9 მათგანი ზოგად მოდულს უძღვება. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისათვის. თუმცა, რეკომენდებულია, დაწესებულებამ საგანმანათლებლო რესურსების QR კოდები სათაურების მითითებებით განათავსოს სასწავლო აუდიტორიებში, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო რესურსზე პროფესიული სტუდენტის სწრაფ ხელმისაწვდომობას. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს სამკითხველო სივრცეს, ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერს, პრინტერს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მასალების ბეჭდვისა და სკანირების შესაძლებლობას. საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა დადასტურდა ბიბლიოთეკარსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სასტუმრო მომსახურება“

ექსპერტის განცხადებით, „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება კოლეჯში არსებული რესურსი A,B, C გარემო პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობით. აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გათვალისწინებული აქვს ორი A გარემო (ოთახები N209 და N403), ორი AC გარემო (რესტორნის სერვის მენეჯერის სიმაულაციური/საპრეზენტაციო ოთახი N214, მეცნიერება და ტექნოლოგიების აუდიტორია N404), ორი C გარემო (სასტუმროს ოთახი N210 და სპორტის მოდულისთვის სატრენაჟორო დარბაზი N107) და ერთი AB გარემო (ოთახი N411). ამასთან, ხელშეკრულება გაფორმებული

აქვს ორ პარტნიორ ორგანიზაციასთან (შპს „სასტუმრო ბლესსინგ“, სს „Hualing International Special Economic Zone-სასტუმრო ჰოტელს ენდ პრეფერენს ჰუალინგ თბილისი“). აღნიშნულ აუდიტორიებსა და სასწავლო სივრცეებში პროფესიული სტუდენტებისათვის განკუთვნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა, პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა განაწილებულია იმგვარად, რომ ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 20 პროფესიული სტუდენტით ერთ ცვლაში. სასწავლო ოთახები სრულყოფილად აღჭურვილი ყველა იმ რესურსით, რაც პროგრამითაა გათვალისწინებული. წარმოდგენილი მასალების შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე „სასტუმრო მომსახურება“ მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ასევე ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომელთაც დაადასტურეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუდენტების რაოდენობის გამტარუნარიანობა და შეუფერხებელი სწავლება დაწესებულებაში. ყოველივეს გათვალისწინებით სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვრა 40 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“, განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი და ინტეგრირებული, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 42 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 14 პირი პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, 19 - ინტეგრირებული მოდულების, ხოლო 9 მათგანი ზოგად მოდულს უძღვება. „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისათვის. თუმცა, რეკომენდებულია, დაწესებულებამ საგანმანათლებლო რესურსების QR კოდები სათაურების მითითებებით განათავსოს სასწავლო აუდიტორიებში, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო რესურსზე პროფესიული სტუდენტის სწრაფ ხელმისაწვდომობას. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს სამკითხველო სივრცეს, ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერს, პრინტერს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მასალების ბეჭდვისა და სკანირების შესაძლებლობას. საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა დადასტურდა ბიბლიოთეკარსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დარგის ექსპერტს, რამდენად კრიტიკულია სხვადასხვა ავტორობით ტექნიკური სახელმძღვანელოები შემდეგ პროგრამებთან მიმართებით: „სავალი ნაწილის შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ და „ძრავის შეკეთება“. თავმჯდომარის განმარტებით, ექსპერტის წინა კომენტარიდან გამომდინარე, სახელმძღვანელოების არსებობა მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ავტოინდუსტრია ტექნოლოგიურად სწრაფად ვითარდება. შესაბამისად, თუ კოლეჯს არ გააჩნია სახელმძღვანელოების განახლების მექანიზმი, ეს შესაძლოა აღქმული იქნას არა როგორც განვითარებაზე ორიენტირებული რეკომენდაცია, არამედ როგორც პროგრამის ერთ-ერთი სუსტი წერტილი.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს და დასძინა, რომ პროფესიული პროგრამები წარმოდგენილია შესაბამისი

სახელმძღვანელოებით. დარგის ექსპერტის თქმით, თუნდაც არსებობდეს სხვა ავტორობითსახელმძღვანელოები, მათი ეფექტურად გამოყენება სტუდენტის მიერ დამოკიდებულია მასწავლებლის კომპეტენციაზე და ენობრივ ბარიერზე, ვინაიდან აღნიშნული სახელმძღვანელოები ძირითადად უცხო ენაზეა, ინგლისურად ან რუსულად. მისივე განცხადებით, ლიტერატურის მრავალფეროვნების საჭიროება განპირობებულია იმით, რომ სტუდენტს მიეცეს ინფორმაცია და უნარი, საჭიროების შემთხვევაში, დამოუკიდებლად მოიძიოს კონკრეტული მოდელის შესაბამისი ტექნიკური რესურსი, მაგალითად — თუ ის მუშაობს Mercedes-ის მოდელზე და შემდეგ გადაერთვება Ford-ზე. ექსპერტის შეფასებით, სახელმძღვანელოების ძირითადი ფუნქცია არ არის მათი უშუალო ინტეგრაცია სასწავლო პროცესში, არამედ ინფორმაციის მიწოდება სტუდენტისთვის, რომ მსგავსი რესურსები არსებობს, როგორ შეიძლება მათი მოძიება და გამოყენება. გარდა ამისა, თუკი სტუდენტს არ აქვს ენობრივი კომპეტენცია, მაინც შეძლებს გარკვეული ვიზუალური მასალის, მათ შორის ნახატებისა და ტექნიკური ნახაზების, გამოყენებას პრაქტიკაში, მაგალითად: ქანჭიკის დაჭერის ძალის განსაზღვრისთვის.

დარგის ექსპერტმა დამატებით განაცხადა, რომ პროგრამის განხორციელებას არსებული მდგომარეობა ჩრდილს არ აყენებს. თუმცა, მისივე განმარტებით, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ საქართველო არ არის ავტომწარმოებელი ქვეყანა და ბაზარზე წარმოდგენილია სხვადასხვა მწარმოებლის მიერ შემოტანილი ავტომობილები, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ ვითარებისგან, რაც არსებობდა საბჭოთა კავშირის დროს, როდესაც მოქმედებდა ერთი ტექნიკური სტანდარტი. ექსპერტის შეფასებით, ასეთ ვითარებაში სტუდენტს უნდა მზაობა თუნდაც თეორიულად არსებობდეს სახელმძღვანელო და ის სასწავლო პროცესში პირდაპირ არ იყოს ინტეგრირებული, მას შეიძლება უჩვენონ სპეციალური პროგრამა (მოცემულობის შემთხვევაში), რომელშიც შესაძლებელია კონკრეტული მოდელისა და კვანძის ტექნიკური დეტალების ვიზუალიზაცია. მისი თქმით, ეს ხელს შეუწყობს სტუდენტის პრაქტიკული ორიენტაციის ამაღლებას და მოამზადებს მას რეალურ სამუშაო გარემოსთან გასამკლავებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დარგის ექსპერტის მიერ წარმოდგენილი განმარტება წარმოადგენს განვითარებაზე ორიენტირებულ რეკომენდაციას. თავმჯდომარის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ კოლეჯის კურსდამთავრებულს გააჩნდეს ელემენტარული წარმოდგენა სხვადასხვა მარკის ავტომობილებზე და არ შეიზღუდოს მხოლოდ ერთი კატეგორიით განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დარგის ექსპერტმა დაადასტურა, რომ სხვადასხვა მწარმოებლის ავტომობილებს განსხვავებული აგებულება აქვთ. ამ საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ ექსპერტის რეკომენდაცია არსებითია და მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებამ აღნიშნული ასპექტი აუცილებლად გაითვალისწინოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექსპერტებმა საფუძვლიანად შეისწავლეს და მოამზადეს დასკვნა მთელი იმ უზარმაზარი ინფორმაციის, დოკუმენტაციის, მატერიალური რესურსისა და მასთან დაკავშირებული საკითხებზე. მან დამატებით გააკეთა კომენტარი ორ საკითხზე: პირველ რიგში განიხილა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“, რომლის შესახებაც, როგორც განაცხადა, დილით გაიგზავნა დამატებითი წერილი ხარისხის

განვითარების ეროვნულ ცენტრში. წერილის თანახმად მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერის შეძენასთან დაკავშირებული ტენდერი უკვე მიმდინარეობდა, ტენდერის შედეგების შესახებ დაწესებულებას არ ჰქონდა შესაბამისი დოკუმენტაცია წარდგენილი. მისი განმარტებით, გუშინ გამოვლინდა ტენდერში გამარჯვებული კომპანია, შესაბამისი ოქმიც აიტვირთა, და მიმდინარეობს ხელშეკრულების გაფორმება. თუმცა, ცნობილია რომ არსებული პროცედურები მთავრობის დადგენილებით რეგულირდება და ისინი ხშირად ითხოვენ ხანგრძლივ პერიოდს, რის გამოც 5 ავვისტოსთვის ტექნიკის შემოტანა შეუძლებელი გახდა. ამის გათვალისწინებით, დაწესებულებამ მოითხოვა დამატებით ორი თვის ვადა, რათა დასაშვები ვადის დასრულება განისაზღვროს 5 ოქტომბრით. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, მოსალოდნელია, რომ 5 სექტემბრამდე კომპიუტერული ტექნიკა უკვე ადგილზე იყოს. მეორე საკითხად განხილული იყო სამი პროფესიული პროგრამა – „სავალი ნაწილის შეკეთება“, „ძრავის შეკეთება“ და „მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, რომლებიც კოლეჯში წლების განმავლობაში ხორციელდება. მისი თქმით, ორი ავტომობილი უშუალოდ გამოყოფილია სასწავლო ბაზისთვის, თუმცა სულ კოლეჯს ჰყავს 5 ავტომობილი. წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ 2012 წლიდან დღემდე დაწესებულება პრაქტიკულად არცერთ თეთრს არ იხდის ამ ავტომობილების შეკეთებაში, ვინაიდან სტუდენტებსა და პერსონალს ეძლევათ უფლება, პრობლემის შემთხვევაში საკუთარ ავტომობილებს ჩაუტარდეთ დიაგნოსტიკა. ამ პრაქტიკით, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა მოიპოვონ გამოცდილება სხვადასხვა მარკისა და აგებულების ავტომობილებზე – როგორც ახალ, ისე ძველ მოდელებზე. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ დარგის ექსპერტის მიერ გაცემულ განმავითარებელი რეკომენდაცია წარმოადგენდა დამატებით საშუალებას დაწესებულების განვითარებისთვის. მან ასევე, ისაუბრა სასტუმრო და სარესტორნო მომსახურების პროფესიულ პროგრამებზე, სადაც აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულად ახორციელებს ამ პროგრამების სწავლის შედეგების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. მისი თქმით, შეძენილია ავტორიზებული OPERA-ს პროგრამა, რაც წარმოადგენს სასტუმროს მართვის პროგრამული უზრუნველყოფას, რომელიც გამოიყენება სტუმართა რეგისტრაციის, ჯავშნების, ბუღალტერიასა და სხვა ოპერაციების მართვისთვის. გარდა ამისა, ორივე პროგრამაში დამატებულია საწარმოო პრაქტიკის მოდულები არჩევითი კომპონენტის სახით. საწარმოო პრაქტიკა, წარმომადგენლის განმარტებით, მიმდინარეობს ისეთ კომპანიებში, როგორებიცაა: ქორთიარდ მერიოტი, შერატონი, ჰილტონი, ბილტმორი, რომლებთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი. აღნიშნული თანამშრომლობა სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, რომ საწარმოო პრაქტიკის პერიოდში დამატებით განავითარონ ის უნარები, რომლებიც მოიპოვეს კონკრეტული მოდულის ფარგლებში, და ამ გზით ყველა სწავლის შედეგი განხორციელდეს პრაქტიკულ დონეზე, მაღალი ხარისხით.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ვინაიდან ვიზიტის დროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გრაფიკული დიზაინის მატერიალური რესურსი არ იყო სრულყოფილად წარმოდგენილი, დაწესებულებამ ამის შესაბამისად შეიმუშავა შესაბამისობის გეგმა და დამატებით დღეს გამოგვეგზავნა წერილი, რომ ვადა გადაიწია 2 თვით, საბჭო ითვალისწინებს აღნიშნულს და ჩაინიშნება მონიტორინგი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ კოლეჯის "მერმისი" ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9

წინააღმდეგი:0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, სსიპ კოლეჯს "მერმისი" (ს/კ:209467646) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. სსიპ კოლეჯს "მერმისი" მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 2). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 22 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით მონიტორინგის ჩანიშვნასთან დაკავშირებით სსიპ კოლეჯში "მერმისი" 2.2 კომპონენტში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „გრაფიკული დიზაინი“. მონიტორინგი ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 15 ოქტომბერი.

საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, ხათუნას ცერცვაძემ.

მეორე საკითხი: ა(ა)იპ - კოლეჯის "ჰორიზონტი" ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დიანა გახარია, მიესალმა დამსწრე პირებს და აღნიშნა, რომ პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებთან დაკავშირებით დაწესებულების და ექსპერტების შეფასება ერთგვაროვანია, რაც ეხება დაწესებულების სამივე ლოკაციას. პირველი სტანდარტის ფარგლებში და ზოგადად დაწესებულების შესახებ აღსანიშნავია, რომ რეგიონში პოზიციონირებს როგორც ერთადერთი დაწესებულება და მათი ოპერირება მართლაც მნიშვნელოვანია. დაწესებულება სამ მისამართზეა წარმოდგენილი: ოზურგეთი, ლანჩხუთი და ჩოხატაური. ჯამში დაწესებულებას ამ სამ ლოკაციაზე საავტორიზაციოდ წარმოდგენილი აქვს 14 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ხოლო მიღევად რეჟიმში ახორციელებს 18 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

მისიასთან და ხედვასთან დაკავშირებით, როგორც გეოგრაფიული მდებარეობა, ასევე პოზიციონირება გაცხადებულია მისიაშიც და ხედვაშიც და გაზიარებულია შესაბამისად. სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით დაწესებულებას ჰქონდა მცირე ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც ვიზიტის ფარგლებში გამოსწორდა, ასევე ეს ეხება სამოქმედო გეგმასაც.

სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიაზე კოლეჯმა გულწრფელად განაცხადა, რომ ელოდნენ ექსპერტების რეკომენდაციებს, რაც მიიღეს კიდევ ერთად განიხილეს მეთოდოლოგია, თუ როგორ შეიძლებოდა გაუმჯობესებულიყო და დახვეწილიყო, და შეჯერდნენ. აღნიშნულის თაობაზე ვიზიტზეც იქნა განხილული და დასკვნაშიც ასახული, რაც დაწესებულებამ გაიზიარა.

პირველი სტანდარტის ფარგლებში გაიცა შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაცია: „1.2.1.1 დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, იგეგმება „სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანის, შეფასების და მონიტორინგის წესის“ გადამუშავება. ექსპერტების მიერ, განმავითარებელი რეკომენდაციის სახით, დაწესებულებას მიეწოდა ინფორმაცია, რომ სასურველია დოკუმენტის დახვეწისას გათვალისწინებული იქნას ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუს შედეგად გამოვლენილი საკითხები. კერძოდ, სასურველია ზემოაღნიშნული მეთოდოლოგია მოიცავდეს გეგმების გაზიარების პროცედურას, სულ მცირე გაზიარების ფორმას/ფორმატს; გაზიარების და გაზიარების ამსახველი მტკიცებულებების მოგროვების მექანიზმებს; ცვლილებების განხორციელების პროცედურას, ცვლილებების დაინტერესებული პირებისთვის გაცნობის მექანიზმს; მონიტორინგის განხორციელების ინტენსივობასა და პროცედურებს, სულ მცირე ფორმას/ფორმატს (ანგარიშების წარდგენა, ღია შეხვედრა, ინტერვიუ, სისტემა/პლატფორმა); ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით რეაგირების თაობაზე ინფორმაციას (შესაძლებელია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდეს სხვადასხვა სახით).“ Top of Form მესამე სტანდარტთან დაკავშირებით, სტუდენტების უფლებები და მათი საუკეთესო ინტერესები რამდენიმე რეგულაციაშია დეკლარირებული, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი მათთან ინტერვიუების პროცესია, როდესაც სტუდენტები გულწრფელად აღნიშნავენ თავიანთ მოსაზრებებს. ექსპერტებს რამდენიმე თაობასთან მოუწიათ შეხვედრა, მათ შორის იყვნენ როგორც პირველი ეტაპის კურსდამთავრებულები, ასევე მიმდინარე სტუდენტები. იყვნენ დასაქმებული სტუდენტები და განმეორებით სხვა პროგრამაზე შემობრუნებულებიც. სტუდენტები დადებით კონტექსტში მოიხსენიებენ კოლეჯს

და აღნიშნავენ, რომ იციან, რა საკითხზე ვის უნდა მიმართონ და ასახელებენ კიდეც, რაც შესაბამისობაშია კოლეჯის ფუნქციებთან და გაფორმებულ ხელშეკრულებებთან. კონსულტირებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ დასაწყისში აქვთ საკონსულტაციო და საორიენტაციო შეხვედრები, რასაც სტუდენტები ინტერვიუთი ადასტურებენ. ადმინისტრაცია მუდმივად ცდილობს, რომ თუ რაიმე სჭირდებათ სტუდენტებს, მაქსიმალურად მიაწოდონ, იქნება ეს მატერიალური რესურსი თუ ექსტრაკურთკულური აქტივობები. მესამე სტანდარტის ფარგლებში ექსპერტთა მხრიდან გაიცა შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაციები:

„3.2.2.1 დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია დოკუმენტში „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები“ გაიწეროს პროფესიული სტუდენტებისთვის კონსულტირების გაწევის, მხარდაჭერის ღონისძიებების, კვლევების ჩატარების პერიოდულობა და განისაზღვროს აღრიცხვიანობის სანდო ფორმა.

3.2.2.2 პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებას შესაბამისი ვაკანსიების შესახებ უზრუნველყოფს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი შეხვედრების და სატელეფონო კომუნიკაციის ფარგლებში. ექსპერტების განმავითარებელი რეკომენდაციაა, მეტი მოქნილობისთვის, ინფორმაციის სწრაფი და დაუბრკოლებელი გავრცელებისთვის, მოხდეს ვაკანსიების სოციალურ, დახურულ ჯგუფებში განთავსება.“

მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ფუნქციები გაწერილია და ეს ფუნქციები დასტურდება როგორც პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან გასაუბრებით. ფუნქციების გადანაწილება განხორციელებულია ცხადია ისე, რომ დაფარული იყოს მთლიანად კოლეჯის საქმიანობა, თუმცა ტექნიკური დეტალები გასასწორებელია. აღსანიშნავია, რომ ინტერესთა კონფლიქტი გამორიცხებულია. პერსონალის მოზიდვის, განვითარების და შეფასების რეგულაცია პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტშია გაწერილი. HR-ის და დირექტორის მოადგილის ხელმძღვანელობით ხდება შეფასება და უკუკავშირის მიწოდება პერსონალისთვის. მეოთხე სტანდარტის ფარგლებში გაიცა შემდეგი სახის განმავითარებელი რეკომენდაციები:

„4.1.1.1 ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია გადაიხედოს თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები მასში დაშვებული ტექნიკური უზუსტობების აღმოსაფხვრელად და ზოგიერთი ფუნქციის დასაზუსტებლად.

4.1.2.1 ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია გადაიხედოს შრომითი ხელშეკრულება და გასწორდეს მასში არსებული ტექნიკური უზუსტობები.

4.1.2.3 პირადი საქმეების შესწავლისას დგინდება, რომ დაწესებულების მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია, მაგალითად თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ინახება განცალკევებით, ზოგიერთი რეზიუმე გვხვდება ხელნაწერი ფორმით. შესაბამისად ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია პირადი საქმეები მოწესრიგდეს შიდა რეგულაციით განსაზღვრული შემადგენლობის მიხედვით. ასევე უმჯობესია გადაიხედოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის მიმართ წაყენებული აკადემიურ განათლების მინიმალური მოთხოვნა და საოფისე პროგრამების ფლობის მოთხოვნა განისაზღვროს შესასრულებელი საქმიანობისთვის აუცილებელი განათლების დონის და საჭირო უნარების შესაბამისად, დაკონკრეტდეს სამუშაო გამოცდილების სფერო/მიმართულება.

4.2.1.2 ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, კვლევაზე დაყრდნობით, გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით შემუშავებული იქნეს პერსონალის (არა მხოლოდ განმხორციელებელთა) განვითარებაზე ორიენტირებული გეგმა.

4.2.1.5 საკითხთან დაკავშირებული ჩანაწერების არარსებობიდან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, დანერგილი პრაქტიკის მიხედვით, შესაბამის რეგულაციაში აღწეროს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაყენების ფორმები და წახალისების მექანიზმები, განისაზღვროს ინიციატივების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირები.“

მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, შალვა ზაზაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებში სრულად წარმოადგინა ყველა დოკუმენტაცია, მათ შორის შენობა-ნაგებობების ფლობის დამდასტურებელი მტკიცებულებები, აზომვითი ნახაზები და ფართების ფლობის დოკუმენტები. დადასტურდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალური და ინფრასტრუქტურული რესურსით. შიდა რეგულაციით დასტურდება პერსონალის და სტუდენტების მიერ მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის შესაძლებლობა. კოლეჯს შემუშავებული აქვს უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია და ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც მზად არის უზრუნველყოს უსაფრთხოება კოლეჯის ტერიტორიაზე. ნებისმიერ პირს აქვს ბიბლიოთეკის ელექტრონული და მატერიალური რესურსით სარგებლობის შესაძლებლობა. საგანგებო სიტუაციების გეგმა შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოებთან. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები და მიმდინარეობს ვიდეო მონიტორინგი. კოლეჯი ფლობს შესაბამისი პარამეტრების კომპიუტერებს, რაც პერსონალს და სტუდენტებს საჭიროების შემთხვევაში გამოყენების საშუალებას აძლევს. შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა. საქმისწარმოების წესია დამტკიცებული და მიმდინარეობს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენებით. დაწესებულებას აქვს ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი, რომლებიც საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას ითავსებენ. ვებგვერდზე განთავსებულია კოლეჯის სტრუქტურა, მისია, ხედვა, ღირებულებები და განახლებული 2025 წლის კატალოგი. კოლეჯის ფინანსური მდგრალობა უზრუნველყოფილია ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებით, რაც სამოქმედო და საოპერაციო ხარჯების დაფარვას უზრუნველყოფს.

მეხუთე სტანდარტის ფარგლებში გაიცა შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაცია: „5.1.1.10 დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია უზრუნველყოს ბიბლიოთეკის სივრცის ნაწილში საარქივო მასალების განთავსების გამორიცხვა და პირადი საქმეების დაცულ მდგომარეობაში, წვდომის უფლებამოსილების არ მქონე პირებისთვის მიუწვდომელ ადგილზე შენახვა“

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტებს დაეხუსტებინათ 3.2.2.1 ინდიკატორის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციის ნაწილში შეფასების პროცესში გათვალისწინებული იყო მხოლოდ დოკუმენტის ფორმალური არსებობა, თუ მოხდა ანალიზი იმ თვალსაზრისითაც ასახავდა თუ არა პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის მექანიზმი შინაარსობრივ, შედეგზე ორიენტირებულ პერიოდულ ღონისძიებებს და უზრუნველყოფდა სანდო აღრიცხვიანობას თუ დოკუმენტი მხოლოდ ფორმალურ დონეზე აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. ასევე, რამდენად შესაძლებელია ითქვას, რომ კოლეჯში რეალურად მოქმედებს ქმედითი მხარდაჭერის სისტემა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გაცემული იქნა არა იმ თვალსაზრისით, რომ კოლეჯმა უკეთ გაუწიოს მხარდაჭერა პროფესიულ სტუდენტებს, არამედ უკეთ მოხდეს ინფორმაციის მოგროვება და ინფორმაციაზე წვდომა. ექსპერტთა რეკომენდაცია მიმართულია ელექტრონული სისტემის მეტად გამოყენებაზე. კოლეჯისთვის იქნება უფრო ადვილი ინფორმაციის მოგროვება და აღრიცხვიანობა იმისა თუ როდის და რამდენჯერ გაეწია მხარდაჭერა. ის რაც დაწესებულებაში მატერიალური ფორმით იწარმოება, შემდგომში მოძებნა, მიკვლევადობა უფრო ძნელია, შესაბამისად ექსპერტების რჩევა არის, რომ რაიმე სახით, მათთვის მოსახერხებელი ფორმით, მაგალითად ექსელის ფაილში, მოახდინოს დაწესებულებამ ინფორმაციის აკუმულირება.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ რეკომენდაცია 4.1.1 კომპონენტთან მიმართებით დასკვნაში ასახულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და ექსპერტთა მოსაზრებით, როგორ აისახებოდა დაწესებულების თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობაში გამოკვეთილი

შეუთავსებლობები ორგანიზაციული მართვის ეფექტურობაზე და ხომ არ იკვეთებოდა შრომითი პროცესების შეფერხების რისკი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტებს არ დარჩენიათ ასეთი შთაბეჭდილება. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები ინდივიდუალურად გაესაუბრნენ დაწესებულების პერსონალს. ინტერვიუებისას განსახილველი საკითხები მიუყვებოდა მათ ფუნქციებს და გამოიკვეთა, რომ არცერთი საქმიანობა და საკითხი არ რჩებოდა პასუხისმგებელი პირის გარეშე. მაგალითად, IT სპეციალისტმა იცოდა, რომ ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის გამართვაზე იყო პასუხისმგებელი და ახორციელებდა კიდეც აღნიშნულს, თუმცა ეს ფუნქციების ნაწილში არ იყო ასახული, რაც, აუცილებლად უნდა გასწორდეს. გამომდინარე იქიდან, რომ IT სპეციალისტს გაცნობიერებული აქვს და ახორციელებს კიდეც ზემოაღნიშნულ ფუნქციას, ამიტომ არ ჩაითვალა ექსპერტთა მხრიდან ტექნიკური ხასიათის უზუსტობად. შესაბამისად, ფუნქციების შესრულებას საფრთხე ამ კუთხით არ ემუქრება. ცხადია, უმჯობესია იყოს დაწერილი ისე როგორც პროცესი მიმდინარეობს.

4.1.2.1 ინდიკატორის ფარგლებში გაწეული რეკომენდაციასთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა კონკრეტულად რა ტექნიკური უზუსტობები, რა ტიპის თუ ხასიათის უზუსტობები დაფიქსირდა. რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ ტექნიკურ უზუსტობებად იქნა განხილული მაგალითად მუხლი-პუნქტის თანმიმდევრობა, რიგითობა. ასევე, მაგალითად შრომითი ხელშეკრულებაში გარკვეული პუნქტის არსებობა წინარე ხელშეკრულების სახელწოდებით ან პირიქით, წინარე ხელშეკრულებაში ჩანაწერი, რომ არის შრომითი ხელშეკრულება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შრომით ხელშეკრულებაში არსებითი პირობების ნაკლებობა არ დაფიქსირებულა. უხეშად რომ ითქვას იყო „პუნქტების ჩარჩენის“ შემთხვევები.

4.2.1.2 ინდიკატორის ფარგლებში გაწეული რეკომენდაციასთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რომელი მიდგომას ან მეთოდს მიიჩნევენ ექსპერტები მიზანშეწონილად კოლეჯისთვის, რათა სისტემურად და სანდოდ გამოავლინოს ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებები, რამდენად შესაძლებელია ამ პროცესის დაგეგმვა შიდა რესურსებზე დაყრდნობით, თუნდაც მათ შორის IT კომპეტენციების განვითარების მიმართულებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ თუ კი არის დასაქმებულებს შორის ისეთი პერსონალი, რომელთა, ვთქვათ, IT უნარები ჩამორჩება სხვა პირების უნარებს, კოლეჯმა შესაძლოა უზრუნველყოს მათი კონსულტირება იმ დასაქმებულ/ებ/ის მიერ, რომელთაც აქვთ კომპეტენცია და ფლობენ შესაბამის სერტიფიკატს. ანუ, მიმართოს ურთიერთ უნარების განვითარებას და გაძლიერებას შიდა კადრების დახმარებით.

5.1.1.10 ინდიკატორის ფარგლებში გაწეული რეკომენდაციასთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში მითითებულია, რომ სივრცეების განლაგება არ ზღუდავს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ პროცესებს, თუმცა მეორე მხრივ, ბიბლიოთეკაში საარქივო მასალების განთავსებასთან დაკავშირებით გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია. მან ითხოვა განმარტება, თუ როგორ პასუხობს ეს რეკომენდაცია ინდიკატორის შინაარსს და შეფასებას. უკავშირდება თუ არა იგი სივრცის ფუნქციურ განლაგებას, კონფიდენციალურობის დაცვას თუ სხვა საკითხებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ბიბლიოთეკის ფუნქციონირებას ხელს არ უშლის საარქივო მასალების განთავსება, რადგან დატევის თვალსაზრისით პრობლემა არ არის.

ამავე დროს, ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ საარქივო მასალები განთავსდეს და დაცული იყოს ერთ ადგილას - ოზურგეთის მისამართზე, მითუმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ არქივი არსებობს და ცენტრალიზებულად იმართება ოზურგეთის მისამართიდან. საკითხი ეხება საარქივო მასალის გადატანას ოზურგეთის მისამართზე და იქ ცენტრალიზებულად დაარქივებას. ექსპერტებისთვის რამდენადაც ცნობილია დაწესებულებამ აღნიშნული პროცესი დაიწყო, თუმცა დასკვნაში მაინც აღნიშნა ეს საკითხი, რადგან ვიზიტის მესამე დღიდან უკვე სხვა მისამართებზე (ე.წ. ფილიალებში) იმყოფებოდა ჯგუფი და არ ჰქონდათ შესაძლებლობა დარწმუნებულიყვნენ აღნიშნულის აღსრულებაში. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ნაწილში საკითხს რაც შეეხება, პირადი საქმეების ღია თაროებზე განთავსება არ არის მიზანშეწონილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოზე დამსწრე პირებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან მიმართებით. მან აღნიშნა, რომ ოზურგეთის მისამართზე 8 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგინა დაწესებულებამ საავტორიზაციოდ, რომელთაგან 4 ინტეგრირებულია, 5 კოოპერაციული და ერთი ახალი პროფესიული პროგრამის დამატება (მაგ.: მოდის ტექნოლოგია და დიზაინი), ლანჩუთის და ჩოხატაურის მისამართებზე 3-3 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა არის წარმოდგენილი (ლანჩუთი - 2 ინტეგრირებული, 3 კოოპერაციული. (ჩოხატაური 1 ინტეგრირებული და 2 კოოპერაციული).

ექსპერტის განცხადებით, ყველა პროგრამა ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა მიერ შეფასდა სრულად შესაბამისობაში, რაც ემთხვევა დაწესებულების თვითშეფასებას. პროგრამების სახელწოდებები შესაბამისია საფუძველ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილება აქვს კოლეჯის დირექტორს და შესაბამისადაც იყო პროგრამები დამტკიცებული. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება როგორც შიდა მარეგულირებელ ნორმებს, ასევე ზემდგომ მარეგულირებელ აქტებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია, რომელშიც დაწვრილებით არის შეფასების და განხორციელების ნაწილი ასახული. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები გაწერილია, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის ნაწილსაც. ვიზიტის ფარგლებში რამდენიმე ბოლო წლის ვერიფიკაციის დოკუმენტაციას გაეცნო ექსპერტთა ჯგუფი. შეფასების დოკუმენტაციის წარმოებასა და შენახვასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მოდულის განხორციელების დასრულებამდე სრულად მასწავლებელთან არის თავმოყრილი შეფასების მტკიცებულებები და დასრულების შემდეგ გადაეცემა სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირს.

სასწავლო რესურსი ყველა პროგრამაზე შერჩევითად იქნა გადამოწმებული და არის ხელმისაწვდომი სამივე მისამართზე ან ელექტრონული ან მატერიალური სახით. ასევე, ყველა პროგრამის ფარგლებში სამივე მისამართზე უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი. განმახორციელებლები ყველა პროგრამის ფარგლებში არიან კომპეტენტურები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სკოლამდელი აღზრდა“ (ოზურგეთი, ლანჩუთი, ჩოხატაური)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სკოლამდელი აღზრდა“ ერთადერთი პროგრამაა, რომელიც ხორციელდება სამივე მისამართზე. ოზურგეთის მისამართზე დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 21 განმახორციელებელი: 11 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი, 8 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი და 2 ქართული ენის მოდულების განმახორციელებელი. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია შეესაბამება

მოთხოვნებს. ლანჩხუთის მისამართზე დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 16 განმახორციელებელი: 7 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი, 7 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი და 2 ქართული ენის მოდულების განმახორციელებელი. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს. ჩოხატაურის მისამართზე დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 13 განმახორციელებელი: 6 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი, 6 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი და 1 ქართული ენის მოდულების განმახორციელებელი. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს. პრაქტიკის ობიექტი არის ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბაღები სამივე მისამართისთვის ცალ-ცალკე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის - „სკოლამდელი აღზრდა“ გაიცა შემდეგი სახის განმავითარებელი რეკომენდაცია: „4.1.5 დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებაში გასწორდეს ჩანაწერი სასწავლო ექსპურსიასთან დაკავშირებით და მკაფიოდ მიეთითოს პროფესიული სტუდენტების ობიექტზე გაგზავნის მიზნობრიობა.“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ბუღალტრული აღრიცხვა“ (ოზურგეთი)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ბუღალტრულ აღრიცხვა“ დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 12 განმახორციელებელი: 6 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი, 6 ზოგადი და ქართული ენის მოდულების განმახორციელებელი. სრულად იმიტირებული პროგრამაა და შესაბამისად სრულად ხორციელდება კოლეჯში. პროგრამის ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ბუღალტრულ აღრიცხვა“ გაიცა შემდეგი სახის განმავითარებელი რეკომენდაცია: „2.2.1.2 სასურველია კოლეჯმა პროფესიული მასწავლებლის ხელშეკრულების დანართში ასახოს ყველა ის მოდული, რომელსაც თავის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს/განახორციელებს პროფესიული მასწავლებელი.“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - "სასტუმრო მომსახურება" (ოზურგეთი, ლანჩხუთი)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სასტუმრო მომსახურება“ ოზურგეთის მისამართზე დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 32 განმახორციელებელი: 16 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი, 16 ზოგადი, ინტეგრირებული და ქართული ენის მოდულების განმახორციელებელი. პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული მიდგომით, გარკვეული მოდულების განხორციელება იგეგმება პრაქტიკის ობიექტზე. ექსპერტები იმყოფებოდნენ პრაქტიკის ობიექტზე და განახორციელეს დათვალიერება და ინტერვიუ. პროგრამას ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი. ლანჩხუთის მისამართზე დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 23 განმახორციელებელი: 6 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი, 17 ზოგადი, ინტეგრირებული და ქართული ენის მოდულების განმახორციელებელი. ლანჩხუთის მისამართზეც კოოპერაციული მიდგომით ხორციელდება პროგრამა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სარესტორნო მომსახურება“ (ოზურგეთი)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სარესტორნო მომსახურება“ ოზურგეთის მისამართზე დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 33 განმახორციელებელი: 2 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი, 11 ინტეგრირებული და 20 ზოგადი და ქართული ენის მოდულების განმახორციელებელი. პროგრამა ხორციელდება ინტეგრირებული მიდგომით. პროგრამის ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სარესტორნო მომსახურება“ გაიცა შემდეგი სახის განმავითარებელი რეკომენდაციები:

„2.2.1.5 საგანმანათლებლო რესურსი პროგრამის „სარესტორნო მომსახურება“ ფარგლებში ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტრონულად ან/და მატერიალური სახით, თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, სასურველია გამარტივდეს პროცესი და შეიქმნას ეგრეთწოდებული QR კოდები, რომელიც გამოიკვრება კედელზე იმ აუდიტორიაში, სადაც პროფესიული სტუდენტები ამა თუ იმ პროფესიულ მოდულს გადიან და მითითებული ექნება სახელმძღვანელოს სახელწოდება და შესაძლებელი იქნება კოდის დასკანერებით სახელმძღვანელოს გახსნა, როგორც მაგალითად უკვე აპრობირებულია მენიუების დასკანერება ბევრ რესტორანში.

2.4.1.5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურება“ ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში (რის საშუალებასაც პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი იძლევა), შესაბამისად სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯის ბაზაზე, რომლის ინფრასტრუქტურაც კოლეჯს გააჩნია. სწავლის შედეგები მიღწევადია ადგილზე, თუმცა ვინაიდან იმიტირებული და რეალური გარემო მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, პროფესიული სტუდენტების პროფესიული განვითარებისათვის სასურველია დაწესებულებამ იზრუნოს პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაზე, რესტორნის სხვადასხვა განყოფილებაში რეალურ სამუშაო გარემოს გასაცნობად, ჰქონდეთ შესაძლებლობა დაესწრონ და ჩაერთონ განყოფილებების (რესტორნის მართვის მიმართულებების) საოპერაციო მართვაში.“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ვიზაჟის მომსახურება“ (ოზურგეთი) და „თმის მომსახურება“ (ოზურგეთი)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ვიზაჟის მომსახურება“ დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 20 განმახორციელებელი: 2 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი, 18 ზოგადი და ქართული ენის მოდულების განმახორციელებელი. პროგრამას ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „თმის მომსახურება“ დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 23 განმახორციელებელი: 2 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი, 21 ზოგადი და ქართული ენის მოდულების განმახორციელებელი. ორივე პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული მიდგომით. პროგრამას ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ (ოზურგეთი, ლანჩხუთი)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ ოზურგეთის და ლანჩხუთის მისამართებზე დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 2-2 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი. პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული მიდგომით. ხელშეკრულებები გაფორმებულია აქარა ტექსტილთან, რომელიც ორ ლოკაციაზე მდებარეობს: ფოთი და ბობოყვათი. ვიზიტის ფარგლებში სატელეფონო გასაუბრებით მოხდა ინტერვიუება პრაქტიკის ობიექტის წარმომდგენლებთან. პროფესიული სტუდენტების ტრანსპორტირებას ახორციელებს ძირითადად პრაქტიკის ობიექტი. ხოლო შეფერხების შემთხვევაში თავად კოლეჯი. პროგრამას ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი. დაწესებულებას მატერიალური რესურსი მოხილიზებული აქვს 15 პროფესიულ სტუდენტზე, თუმცა კვოტას ითხოვს 30 პროფესიულ სტუდენტზე და დაწესებულება აღნიშნული პროგრამის განხორციელებას გეგმავს 2 ცვლაში ან შეჭრილი ცხრილით. კონკრეტულ არჩევანს სწავლის დაწყების წინ გააკეთებს დაწესებულება. პროგრამა მოიცავს არჩევით მოდულს. ორივე ლოკაციისთვის დაწესებულებას შერჩეული აქვს „ქართული ეროვნული სამოსის გამოჭრა და

ტექნოლოგიური დამუშავება“. აღნიშნული გადაწყვეტილება ეფუძნება იმას, რომ ინდივიდუალური დასაქმებისთვის უფრო ხელსაყრელია აღნიშნული მოდულით გათვალისწინებული კომპეტენციის შეძენა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (ოზურგეთი, ჩოხატაური)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ოზურგეთის მისამართზე დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 25 განმახორციელებელი: 2 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი, 23 ზოგადი და ქართული ენის მოდულების განმახორციელებელი. პროგრამას ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი. ჩოხატაურის მისამართზე დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 15 განმახორციელებელი: 2 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი, 13 ზოგადი და ქართული ენის მოდულების განმახორციელებელი. პროგრამა იმიტირებულად ხორციელდება და შესაბამისად სრულად მობილიზებულია მატერიალური რესურსი ორივე მისამართზე. პროგრამას ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი. კომპიუტერების მახასიათებლები აკმაყოფილებს სწავლებისთვის საჭირო პარამეტრებს, ასევე არის საქსელო დანადგარები, რომლებიც სჭირდება სასწავლო გარემოს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სატყეო საქმე“ (ჩოხატაური)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სატყეო საქმე“ დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 9 განმახორციელებელი: 4 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი, 5 ზოგადი და ქართული ენის მოდულების განმახორციელებელი. პროგრამას ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი. პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული მიდგომით. ხელშეკრულება გაფორმებული არის საქართველოს სატყეო მეურნეობის ჩოხატაურის განყოფილებასთან, კერძოდ ფარცხვის განყოფილებასთან.

საბჭოს წევრმა, ნათია ბუთხუზმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. ვერიფიკაცია-ვალიდაციის პროცესის ამსახველ დოკუმენტაციას მიმართებით, იყო თუ არა გაცემული რეკომენდაცია და როგორ განხორციელდა პროცესი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტები გაეცნენ სხვადასხვა წლების ამსახველ დოკუმენტაციას, სერიოზული ხარვეზები არ გამოვლენილა. თუმცა, მაგალითად იყო ასეთი - შეფასების ინსტრუმენტის შეუსაბამობა შეფასების მიმართულებასთან დაკავშირებით, რომელიც აღმოჩენილი იყო ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ და გაცემული იყო რეკომენდაცია. დანარჩენი უფრო მეტად იყო ტექნიკური ხასიათის. რეკომენდაცია იქნა გაცემული და გაცნობილი განმახორციელებლებისთვის გამოსასწორებლად.

ნათია ბუთხუზი დაინტერესდა ბოლო 5 წლის განმავლობაში რა გამოწვევა ჰქონია კოლეჯს და როგორ გაართვა თავი.

ა(ა)იპ - კოლეჯის "ჰორიზონტი" დირექტორმა პირველ რიგში მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის და უკუკავშირისთვის. ხოლო ქალბატონი ნათიას კითხვაზე ნანა ჯოლიამ ძირითად გამოწვევად დაასახელა ბოლო სამი წლის განმავლობაში კოლეჯის მიერ ორი ლოკაციის დამატება და მასთან დაკავშირებული პროცესები, რომლიც განხორციელდა წარმატებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, ა(ა)იპ - კოლეჯის "ჰორიზონტი" ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - კოლეჯს "ჰორიზონტი" (ს/კ:237079497) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. ა(ა)იპ - კოლეჯს "ჰორიზონტი" მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 3)**. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 22 აგვისტო.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 15:47 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია



დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	405
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	265
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	120
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	110
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

პროგრამის სახელწოდება	გრაფიკული დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გრაფიკულ დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დავით გურამიშვილის ჩიხი N9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	40
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118

პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დავით გურამიშვილის ჩიხი N9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	40
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

პროგრამის სახელწოდება	ადმინისტრაციული სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ადმინისტრაციულ სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დავით გურამიშვილის ჩიხი N9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	40
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	92
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	122
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

პროგრამის სახელწოდება	ელექტრობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დავით გურამიშვილის ჩიხი N9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

პროგრამის სახელწოდება	თმის მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1012
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დავით გურამიშვილის ჩიხი N9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	58
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	73

პროგრამის სახელწოდება	იატაკისა და ფილის სამუშაოები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დავით გურამიშვილის ჩიხი N9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	32
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	83
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	98

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დავით გურამიშვილის ჩიხი N9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

პროგრამის სახელწოდება	კონდიტერია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დავით გურამიშვილის ჩიხი N9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	32
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	80
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	95

პროგრამის სახელწოდება	კულინარიის ხელოვნება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დავით გურამიშვილის ჩიხი N9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	120
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	86
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	101

პროგრამის სახელწოდება	მოდის ტექნოლოგია და დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დავით გურამიშვილის ჩიხი N9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	84
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	40
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	მომინანქრება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მომინანქრებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0214
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დავით გურამიშვილის ჩიხი N9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	62
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	77

პროგრამის სახელწოდება	ტყავის ნაკეთობათა წარმოება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტყავის ნაკეთობათა წარმოებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დავით გურამიშვილის ჩიხი N9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	106
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	78
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	136
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	108

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დავით გურამიშვილის ჩიხი N9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	82
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97

პროგრამის სახელწოდება	სავალი ნაწილის შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დავით გურამიშვილის ჩიხი N9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	59
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	74

პროგრამის სახელწოდება	ძრავას შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დავით გურამიშვილის ჩიხი N9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	58
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	73

პროგრამის სახელწოდება	სარესტორნო მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარესტორნო მომსახურებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დავით გურამიშვილის ჩიხი N9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	40
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	74
